ოქმი №11

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მერვე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 29 ნოემბერი, 15 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი, N210
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, ე.არჩაია, პ.ლილუაშვილი, გ.მანგაძე, დ.ფხაკაძე, მ.სიმონიძე, კ.გურული, დ.ბახტაძე, ჯ.ბიბილეიშვილი.**

სულ: კომისიის 14 წევრი.

არ ესწრებოდა: რ.ქვაჩაკიძე,ბ. ი.შენგელია, ბრეგაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბატონი **დ.ნიშნიანიძე.**

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"
2. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ სხდომას, რომელიც ბიუჯეტში მე-5 ცვლილებას შეეხება. მასალები თქვენთან გამოგზავნილია. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ამჯერად შედის შიდამუხლობრივი ცვლილებები.

დღის წესრიგში წარმოდგენილია ერთი საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", სიტყვას გადავცემ ბატონ **დავით ნიშნიანიძეს**".

1. **მოისმინეს:** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია: „ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია პროგრამული ფორმატით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

მიზანშეწინილია და საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება, კერძოდ, შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულება, შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამის პროგრამულ კოდებზე. დაკორექტირდა სხვადასხვა პროგრამები საბიუჯეტო სახსრების ნაწილშიც, თუმცა გადასახდელების ზრდა ან შემცირება არ განხორციელებულა.

მე-5 ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 131846,5 ათას ლარს. (კონკრეტული ცვლილებების ნუსხა თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „რამდენით მცირდება ბიუჯეტი ამ ცვლილებით ?"

დ.ნიშნიანიძე: „120 ათასი ლარით".

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებში 90 ათასი ლარი რას დაემატა?"

დ.ნიშნიანიძე: „ეს არის საახალწლო ნობათების თანხა".

კომისიის წევრი **კ.გურული:** ააიპების ბიუჯეტში ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი აქვს „DMO"-ს, მაშინ როცა ქუთგანათებაში სადაც სარისკო სამუშაოების შემსრულებელს საშუალო ხელფასი ორჯერ და მეტად დაბალი აქვს, რას აკეთებს ეს ორგანიზაცია?

კომისიის წევრი **ტ.ლილუაშვილი:** „ თუ შეიძლება მე გაგცემთ პასუხს, ამ აიპის მუშაობის არეალი მოიცავ იმერეთის 12 მუნიციპალიტეტს, ეს სახელი შეარჩია მსოფლიო ბანკმა, რომ ყველასათვის გასაგები ყოფილიყო. მათი საქმიანობის მთავარი მიმართულება რეგიონისა და ქალაქის პოპულარიზაცია. თუ გნებავთ მივიდეთ ამ აიპში და ადგილზე გავეცნოთ მათ მუშაობას."

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „შემოვდივარ წინადადებით ადგილზე გასვლით მოვისმინოთ „DMO"-ს მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში."

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ვეთანხმები აღნიშნულ წინადადებას, ადგილზე გავეცნოთ მათ მუშაობას. თუ სხვა შეკითხვები არ გაქვთ, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე -10, წინააღმდეგი** - არც ერთი

თავი შეიკავა - 4.

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

ამით, საკრებულოს კომისიის მეთერთმეტე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**